პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 108 (6163)

4 1978 წ. ივნისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ძმური მეგობრობის დემონსტრაცია

2 ივნისს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — კლემენტ გოტვალდის ორდენი გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

2 ივნისს პრაღის კრემლში დამთავრდა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის გ. ჰუსაკის მეთაურობით.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ საზეიმო ვითარებაში მოაწერეს ხელი ერთობლივ განცხადებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

იმავე დღეს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქმა გულთბილად და გულითადად გამოაცილა სამშობლოში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

2 ივნისს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვს დაბრუნდა.

სროლა

გდრ-ის ქალაქ ზულის სასროლეთზე გაიმართა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ტყვიის სროლაში, რომელშიც ევროპის ქვეყნების გარდა აშშ-ს, მექსიკის, კუბის და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის 200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. ისინი ხუთ ოლიმპიურ ვარჯიშში ცდიდნენ ძალას. საბჭოთა სპორტსმენებმა სამი ვარჯიში მოიგეს: მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლით სროლაში ვ. ვლასოვმა 600-დან 596 ქულა მოაგროვა. მას გ. ლუშჩიკოვი ქულით ჩამორჩა. სამაგიეროდ, ლუშჩიკოვმა ბრწყინვალე მაჩვენებელი მოიპოვა ამავე იარაღით სტანდარტზე (3X40) ასპარეზობაში — 1173, II ადგილზე გასული პოლონელი პ. კოვარჩიკი მას 20 ქულით ჩამორჩა. „გაქცეულ ტახზე" შეჯიბრებაში ა. კედიაროვმა 576 ქულა მოაგროვა.

დანარჩენ ორ ვარჯიშში გდრ-ის სპორტსმენებმა იმარჯვეს. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან სროლაში მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ჰ. პოლმერმა 573 ქულა აჩვენა, ხოლო ამავე იარაღით სწრაფსროლაში პირველ ადგილზე გავიდა ი. ვიფელი.

პროფკავშირთა სპარტაკიადა

ძალოსნობა

ოსტატი, კიდევ ოსტატი...

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ფარიკაობის დარბაზი ორი დღით დაეთმო რესპუბლიკის პროფკავშირთა სპარტაკიადის მონაწილე ძალოსნებს. რამდენიმე დღის წინ მათი უმრავლესობა თელავის რაიონში გამართულ გ. ჩიკვაიძის სახელობის თასის გათამაშებაში გამოვიდა და არც თუ ურიგოდ. შესაძლოა ამან თბილისის ტურნირში სპორტსმენთა მაჩვენებლებს ერთგვარი დაღი დაასვა, მაგრამ არც ამ შეჯიბრებაზე ნაჩვენები შედეგებით უნდა ვიყოთ უკმაყოფილო — საქართველოს სპორტის ოსტატთა რიგებს კიდევ ორი ძალოსანი შეემატა: 67,5 კგ-მდე წონითი კატეგორიის ათლეტთა შეჯიბრებაში სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, 18 წლის ს. მელაძემ („ბურევესტნიკი"), რომელსაც ნ. ზუბიტაშვილი ავარჯიშებს, ორჭიდში 260 კგ მოაგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

82,5 კგ-მდე წონის კატეგორიის სპორტსმენთა ტურნირში ასეთსავე წარმატებას მიაღწია განთიადელმა, 18 წლის სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. თინაშვილმა (მწვრთნელი შ. წერეთელი). მან 292,5 კგ აჩვენა.

„ბურევესტნიკის" წევრები ა. ამანათოვი და მ. მუსაევი, რკინიგზელები ბ. გონაევი და შ. ბექაშვილი, თ. დევიძე („კოლმეურნე") სპორტის ოსტატობის კანდიდატები გახდნენ.

ტურნირი რეკორდებმაც დაამშვენა: 52 კგ წონის განთიადელმა სპორტის ოსტატმა ს. თათევოსიანმა (მწვრთნელი შ. წერეთელი) 90 კგ აიტაცა და თავისივე რესპუბლიკური რეკორდი 2 კილოგრამით დაამძიმა. მისმა თანაგუნდელმა პირველთანრიგოსანმა ვ. ხალილოვმა (ვ. ლობჟანიძე) 87,5 კგ შტანგა აიტაცა, ორჭიდში 197,5 კგ მოაგროვა, ორივე ეს შედეგი ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდია. სპორტის ოსტატმა ა. ჰიტაძემ (მწვრთნელები ე. დვალი და რ. გურგენიძე), რომელიც „კოლმეურნის" სახელს იცავდა, 172,5 კგ-ის აკვრით საქართველოს იუნიორთა მიღწევა გააუმჯობესა. ზოგიერთმა მონაწილემ, მაგალითად, დ. ხიზამბარელმა, თელავში ნაჩვენები შედეგები გააუმჯობესა.

ერთი სიტყვით, ბევრმა სპორტსმენმა შეძლო მთელი შესაძლებლობის გამოვლენა, მაგრამ ყველაზე ასე როდი ითქმის, სპორტის ოსტატი რ. ტონოგანიანი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი ზ. ნადირაშვილი (ორივე — „განთიადი") უდაოდ ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე სპორტსმენები, რომელთაგან ჯეროვანი მუშაობით საერთაშორისო კლასის შედეგებია მოსალოდნელი, მაგრამ ჯერჯერობით დასანანი ჩავარდნები აქვთ. ტონოგანიანმა ვერც თელავში, ვერც ამ შეჯიბრებაზე გუნდს ვერაფერი არგო, რადგან ორივეჯერ ძალიან მძიმე შტანგის აწევას შეეცადა და შეფასების გარეშე დარჩა, ნადირაშვილმა კი სპარტაკიადის ფიცარნაგზე გამოსვლა არ ისურვა. საწყისი წონა ვერ დაძლია სპორტის ოსტატმა მ. ჯანხოთელმაც („კოლმეურნე").

ძალოსნობაში მსგავსი წარუმატებლობა უფრო გამოცდილ ოსტატებსა და მათ მწვრთნელებსაც მოსდით, მაგრამ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების პროცესში იგი მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ, თორემ იქ, მოსკოვის ფიცარნაგზე ერთი ნულიც კი საკმარი იქნება, რომ გუნდურ ჩათვლაში არასახარბიელო ადგილზე აღმოვჩნდეთ.

თუ საქართველოს ძალოსნების მიერ წლევანდელ სტარტებში მოპოვებული მაჩვენებლებით ვიმსჯელებთ, ტექნიკური შედეგების ზრდა თვალსაჩინოა — ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც სამი კვირის მანძილზე დამყარებული 18 რესპუბლიკური რეკორდი. ჩვენს მწვრთნელებს ჰყავთ ნიჭიერი ახალგაზრდებიც, რომლებსაც სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა ვარჯიშისა და სხვა სათანადო პირობები უნდა შეუქმნან. დღეს ხომ უკვე ნათელია, რომ ძალოსნობაში წარმატებაზე ფიქრი მხოლოდ იმ სპორტსმენებს შეუძლიათ, რომლებიც სისტემატურად სრულყოფენ ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებას...

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: „განთიადი" — 85 ქულა, „კოლმეურნე" — 77, „ბურევესტნიკი" — 56, „ლოკომოტივი" — 34, „სპარტაკი" — 12. დაბოლოს ვიტყვი, რომ ვერცერთმა გუნდმა ვერ შეძლო ყველა წონით კატეგორიაში შეფასების მიღება.

ტურნირის ტექნიკური შედეგები: უმჩატესი. ს. თათევოსიანი („განთიადი") — 192,5 კგ, თ. დევიძე („კოლმეურნე") — 182,5, ს. ალიევი („განთიადი", პირადი) — 167,5; **მჩატე.** ვ. ხალილოვი („განთიადი") — 197,5, ვ. ბალათურია („კოლმეურნე") — 197,5, ვ. საველიევი („ბურევესტნიკი") — 195; **ქვემსუბუქი.** დ. შანიძე („განთიადი") — 235, ბ. გონაევი („ლოკომოტივი") — 220, ა. შიტუხინი („სპარტაკი") — 202,5; **მსუბუქი.** ვ. ლობჟანიძე („განთიადი") — 275, გ. მამიაშვილი („კოლმეურნე") — 267,5, ს. მელაძე („ბურევესტნიკი") — 260; **ქვესაშუალო.** ა. ჰიტაძე („კოლმეურნე") — 295, ნ. პაპიძე („განთიადი") — 292,5, ვ. ნადაშვილი („ბურევესტნიკი") — 267,5; **საშუალო.** გ. თინაშვილი („განთიადი", პირადი) — 295,5, დ. გაბაძე („განთიადი") — 290, შ. ბექაშვილი („ლოკომოტივი") — 277,5; **ქვემძიმე.** ე. დვალი („კოლმეურნე") — 320, ზ. მამულაშვილი („ლოკომოტივი") — 295, რ. ლუბენეცი („ბურევესტნიკი") — 270; **მძიმე.** თ. ძაგოევი — 320, მ. კიდურაძე (ორივე — „კოლმეურნე") — 300, გ. კაპანაძე („ბურევესტნიკი") — 292,5; **ზემძიმე.** დ. ხიზამბარელი („განთიადი") — 350.

შ. წერეთელი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

კალათბურთი

დედაქალაქის პირველობა

აღდგენილი ხიდი

თბილისმა კარგა ხანია დაიმკვიდრა რესპუბლიკაში კალათბურთის ცენტრის საპატიო სახელი. ქართულ კალათბურთში თითქმის ყველა ღირსსახსოვარი და მნიშვნელოვანი მოვლენა სწორედ დედაქალაქის კოლექტივების წარმატებასთანაა დაკავშირებული. ასე რომ, როცა სარბიელზე გამოდიან თბილისელი კალათბურთელები, ფაქტიურად ეს ქართული კალათბურთის დღევანდელი და ხვალინდელი დღის დათვალიერებაც გახლავთ. მათს შეხვედრებში ვლინდება „კალათბურთის ცენტრის" საშინაო საქმეების ავიცა და კარგიც. ეს ასპარეზობა, ბუნებრივია, სპორტული ოსტატობის დონის საზომიც არის.

თბილისელ ქალთა და ვაჟთა პირველობა ტრადიციულად ეწყობა, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, სპეციალისტებისა და გულშემატკივრებისთვის საინტერესო კითხვებზე ეს შეჯიბრება ყოველთვის როდი იძლეოდა ნათელ პასუხს — თითქოს ხიდი იყო ჩატეხილი მასობრივსა და დიდ სპორტს შორის. პირველობის შემდეგ ორივე თავ-თავის მხარეს რჩებოდა, რადგან აშკარა იყო სხვაობა გუნდების მომზადებაში. ამ ფაქტს, სამწუხაროდ, საერთო საქმისთვის ზიანის მეტი არაფერი მოჰქონდა.

წლევანდელი პირველობა, შეიძლება თამამად ითქვას, ამ თვალსაზრისით ბედნიერი გამონაკლისი იყო. გარდა იმისა, რომ სარბიელზე გუნდების სარეკორდო რაოდენობა ვიხილეთ, თვალსაჩინო იყო მონაწილეთა ოსტატობაც. თითქმის ყველა შეხვედრა თანაბარ და უშეღავათო ბრძოლაში ჩატარდა.

გაჩნდა გულშემატკივართა სინანულის გამქარვებელი იმედიც. სინანულს იწვევდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდის სახელოვანი ტრადიციების დაკარგვა. ამჯერად კი ამ სასწავლებლის კალათბურთელები თავიანთი მრავალრიცხოვანი ქომაგებით მოვიდნენ ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში. გუნდი ამ ოთხი თვის წინათ ჩამოყალიბდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის თაოსნობით (კათედრის გამგე ჯ. ბაგრატიონი). ახალგაზრდულ გუნდს ამავე ინსტიტუტში დაოსტატებული კალათბურთელი გ. არუთინოვი ჩაუდგა სათავეში. კოლექტივს ჰყავს ძლიერი კალათბურთელები თ. მაგრაქველიძე, ი. ნასიძე, მ. ჩხიკვაძე, რომლებსაც უნარი შესწევთ გააგრძელონ უფროსი კოლეგების ტრადიციები და კოლექტივს განუმტკიცონ საკუთარი ძალების რწმენა.

ვინც ამ შეჯიბრებას თვალყურს ადევნებდა, უთუოდ კმაყოფილი დარჩა მოედანზე კალათბურთელთა ნაცნობი სახეებისა და თამაშის ნაცნობი მანერის ხილვით. იმ კოლექტივების შემადგენლობაში, სადაც ამჟამად მუშაობენ ან სწავლობენ წარსულში ცნობილი კალათბურთელები, სარბიელზე ვიხილეთ თ. ფიცხელაური, ვ. ქუთათელაძე, ვ. მხეიძე, ვ. ჰეიშვილი და სხვები. ეს სპორტსმენები ხელს უწყობენ კალათბურთის შემდგომ პოპულარობას. ახალგაზრდებს აძლევენ უნარიანი თამაშის კარგ მაგალითს, ეხმარებიან სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებაში. ვფიქრობთ, ამ ენთუზიასტებს სხვა კალათბურთელებმა, სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებმაც უნდა მიჰბაძონ.

ვაჟთა გუნდებს შორის დედაქალაქის ჩემპიონობა თბილისის „დინამოს" პირველმა ნაკრებმა მოიპოვა. მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები შესაბამისად ფიზკულტურის ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და „ნორჩი დინამოელის" კოლექტივებს ხვდათ წილად. ქალთა შორის გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. მეორე და მესამე ადგილები, ამჯერად, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის კალათბურთელებს დარჩათ. მეოთხე ადგილზე თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენლები არიან.

ზემოაღნიშნულმა რვავე კოლექტივმა საქართველოს პირველობაში „ა" კლასის გუნდებს შორის ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ეს შეჯიბრება ივლისში დაიწყება.

— თბილისის წლევანდელი პირველობა, — გვითხრა შეჯიბრების შემდეგ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ვ. ჯაფარიძემ — გამოირჩეოდა ორგანიზაციისა და მსაჯობის მაღალი დონით, აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებამ მთლიანად გაამართლა მიზანი.

თ. ბაჩიჩილაძე.

* * *



სურათზე: შეტევაზეა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ი. ნასიძე.

ჯ. კახრაძის ფოტო.

რას ვნახავთ, სად და როდის

1 ივნისს რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე სტარტი აიღო საქართველოს მოსწავლეთა XXX საიუბილეო სპარტაკიადის ფინალურმა შეჯიბრებებმა. ეს ასპარეზობა, რომელიც 30 ივნისამდე გაგრძელდება, მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადისთვის ჩვენი ნორჩი სპორტსმენების მზადყოფნის დიდი დათვალიერება იქნება.

დღეს გთავაზობთ საქართველოს მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების კალენდარს:

ფეხბურთი. 1-5. ბათუმი.
ბადმინტონი. 2-5. ბათუმი.
ფრენბურთი. 4-7. (უმცროსი ასაკი). სოხუმი. 10-14. (უფროსი ასაკი). სოხუმი.
ველოსპორტი. 4-8. მცხეთა.
ცურვა. 5-8. ქუთაისი.
ფარიკაობა. 5-12. თბილისი.
ჩოგბურთი. 7-14. ბათუმი.
მაგიდის ჩოგბურთი. 10-14. ფოთი.
მუდ-ის მრავალჭიდი. 11-15. თბილისი.
ჭადრაკი. 11-21. ცხაკაია.
კალათბურთი. 12-17. თბილისი.
კლასიკური ჭიდაობა. 14-17. ბათუმი.
მხატვრული ტანვარჯიში. 15-17. თბილისი.
სპორტული ტანვარჯიში. 15-17. თბილისი.
ქართული ჭიდაობა. 15-17. გორი.
კრივი. 16-19. ფოთი.
აკრობატიკა. 17-18. სოხუმი.
ტყვიის სროლა. 17-21. სოხუმი.
ხელბურთი. 19-23. (უმცროსი ასაკი). 25-30. (უფროსი ასაკი). თბილისი.
წყალში ხტომა. 20-23. თბილისი.
წყალბურთი. 20-24. თბილისი.
თავისუფალი ჭიდაობა. 21-24. ყვარელი.
აკადემიური ნიჩბოსნობა. 22-23. ფოთი.
მძლეოსნობა. 22-24. თბილისი.
ძიუდო. 23-25. ქუთაისი.
ნიჩბოსნობა. (ბაიდარები) 24-29. ფოთი.

არა მხოლოდ მაყურებლები...

გულშემატკივარი — სპორტი. ამ ურთიერთობას საუკუნეთა მიღმა ედება სათავე, ჩვენს ეპოქაში იძენს აქტუალობას და ბოლო ათწლეულში — იმის კვალობაზე, თუ როგორ იქცევა სპორტი, დიდ სოციალურ მოვლენად — საკმაოდ რთულ და მნიშვნელოვან კატეგორიად გვევლინება.

დიდი სპორტი დღეს წარმოუდგენელია დიდი აუდიტორიის გარეშე. მხედველობაში თუ არ მივიღებთ ტელემაყურებელთა მილიონიან არმიას, სპორტულ ასპარეზს უშუალოდ ათიათასობით ადამიანი ადევნებს თვალყურს.

„თვალყურს ადევნებს“ — ეს გამოთქმა ალბათ დღეს ძალიან პირობითად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან სპორტულ შერკინებათა დამსწრენი უკვე აღარ არიან მხოლოდ მაყურებლები, ისინი არიან, შეიძლება ითქვას, ამ შეჯიბრებათა უშუალო მონაწილენი, სპორტსმენთა მხარდამხარ მებრძოლნი, რომლებიც მათთან ერთად განიცდიან გამარჯვების სიხარულს, მარცხის სიმწარეს...

ჩოგბურთს, კრივს, მძლეოსნობას, ჭიდაობას, კალათბურთს, ფეხბურთს მართლაც რომ ათასობით მაყურებელი ესწრება. მაგალითად, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა ასპარეზობებს 70 ათასამდე ადამიანი უყურებს ტრიბუნებიდან. რასაკვირველია, მათი უდიდესი უმრავლესობა კარგად ერკვევა სპორტში, კერძოდ ფეხბურთში, ბევრი მათგანი ადრე ალბათ თავადაც იყო სპორტსმენი, ბევრი დღესაც მეგობრობს ფიზკულტურას, სპორტს. და ვინ, თუ არა მათ კარგად იციან სპორტის ფასი, იციან თუ რა მძიმე, ზოგჯერ სასოწარკვეთამდე მძიმე შრომაა საჭირო, რომ მიაღწიო მაღალ სპორტულ მწვერვალებს, გახდე ოსტატი, უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, კალათბურთელი, ჩოგბურთელი, მოკრივე, მოჭიდავე...

მაგრამ, სამწუხაროდ, ტრიბუნებზე ისეთებიც არიან, ვისაც არც სკოლაში, არც შემდეგ, სიცოცხლეში ერთხელაც არ დაურტყამს ბურთზე ფეხი, არ ჩაუცვამს მოკრივის ხელთათმანები, ხელთ არ აუღია ჩოგანი — არ უგემნია სპორტით მინიჭებული უდიდესი სიამოვნებისა თუ მწუხარების განუმეორებელი აღტკინება, სასოწარკვეთა...

სწორედ ამიტომაც ასეთი ადამიანი ვერ იგრძნობს, ვერ შეიცნობს სპორტსმენის ხასიათს, სპორტული პაექრობის ნამდვილ არსს, სპორტის უზარმაზარ, ნათელ სამყაროს. ასეთ გულშემატკივარს მიაჩნია, რომ „მისმა ფალავანმა“ ყოველთვის უცილობლად უნდა გაიმარჯვოს, „მისმა გუნდმა“ უეჭველად უნდა მოიგოს — არის თუ არ არის ამის ობიექტური პირობა. ასეთი „გულშემატკივარი“ ამავე დროს მყისიერად, უმოწყალოდ შეაქცევს ხოლმე ზურგს მას, ვინც არ „გაუმართლა“, ვინც უნებლიეთ შეცდა სპორტულ სარბიელზე, ვინც ვაჟკაცურ და უშეღავათო ბრძოლაში დაუთმო უფრო ღირსეულ მეტოქეს, უკეთ მომზადებულ მოწინააღმდეგეს. ზურგს შეაქცევს და ლანძღვა-გინებასაც უხვად დააფრქვევს თავის გუშინდელ კერპს...

საბედნიეროდ, ამ ტიპის ვაიგულშემატკივრები სულ უფრო იშვიათად გვხვდება ჩვენს სტადიონებზე, კორტებზე, სპორტის სასახლეებში, დარბაზებში, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ „ამღვრევენ წყალს“, სახელს უტეხენ ობიექტურობით ცნობილ ჩვენს მაყურებელს.

გულშემატკივარი — სპორტი. ეს მნიშვნელოვანი თემა ფრიად აღელვებს „ლელოს“ მკითხველებსაც. ბევრი მათგანი გვაწვდის წერილებს, გვიზიარებს მოსაზრებას ამ საკითხის ირგვლივ. რა თქმა უნდა, მათი ყველა მოსაზრება როდია მისაღები, ჭეშმარიტი და უცილობელი, მაგრამ რედაქციას მიაჩნია, რომ მკითხველების აზრთა გაცვლა-გამოცვლა, გაზეთის ფურცლებიდან მათ შორის წარმოებული კამათი ხელს შეუწყობს ამ პრობლემის ირგვლივ საერთო აზრის, ჭეშმარიტების დადგენას.

დღევანდელ გაზეთში დასტამბულ სარედაქციო ფოსტით მიღებულ წერილებს, იმედია, გულგრილად არ შეხვდება მკითხველი და თავის აზრსაც მალე გაგვიზიარებს.

სარედაქციო ფოსტა

გულშემატკივარი — სპორტი

სარედაქციო ფოსტა

რიგითი გულშემატკივრის ეს წერილი გულახდილი საუბარია სპორტის მოყვარულის და სპორტსმენის ურთიერთობის ერთობ საჭირბოროტო საკითხზე — როგორი გულშემატკივარი ჰყავს ქართულ სპორტს.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ შორს ვართ აზრისაგან ქართველ გულშემატკივრებს თავიანთ რჩეულთადმი გულგრილობა დავწამოთ. პირიქით, სპორტში, ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროში გამორჩეულთ და მისაბაძთ ზედმიწევნით აფასებენ. აქ საუბარი იქნება მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ვლინდება პრაქტიკულად ეს სიყვარული და რარიგ შორს არის იგი იდეალისაგან. იმაზე, რომ ბოლოსდაბოლოს უნდა გაეცეს პასუხი ოდნავ საჩოთირო, მაგრამ სამწუხაროდ უკვე საკმაოდ მომწიფებულ კითხვას: ვიცით კი ნამდვილი გულშემატკივრობა?

ეს და სხვა ამდაგვარი პრობლემები, რაღა თქმა უნდა, ბევრ ჩვენთაგანს აღელვებს, მაგრამ წერილის საგნად რომ გაიხადოს, ამისათვის რაღაც ჭარბი ემოციური ზემოქმედების ფაქტორი, „ძლიერი გამღიზიანებელი“ სჭირდება.

ჩემთვის პირადად ასეთი გამოდგა კრივში სსრკ ჩემპიონატის ფინალური ბრძოლების დღე. ალბათ გახსოვთ, რა აჟიოტაჟი გამოიწვია ამ შეჯიბრებამ ჩვენს დედაქალაქში. ამის უმთავრესი მიზეზი, რა დასამალია და დავით კვაჭაძის მონაწილეობასთან იყო დაკავშირებული. საქართველოს შარშანდელი № 1 სპორტსმენის თითოეულ გამოსვლას ინტერესით ადევნებდა თვალს მაყურებელი და მოუთმენლად ელოდა გადამწყვეტ შერკინებათა დღეს. და აი, ერთმანეთის პირისპირ დადგნენ დავითი და ევროპის ორგზის ჩემპიონი ანატოლი კლიმანოვი. თქმა არ უნდა, მოწინააღმდეგე ღირსეულთა შორის ყველაზე ღირსეული იყო და ვერც ერთი ჭკუათმყოფელი დავითის იოლ გამარჯვებას ვერ უწინასწარმეტყველებდა. და მაინც გულშემატკივარი ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მერე კი ის მოხდა, რომ დამარცხდა ჩვენი თანამოქალაქე კვაჭაძე... მაგრამ აქ ამ დამარცხების ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზებზე ნუ ვისაუბრებთ. ამას უჩვენოდაც მოახერხებენ მწვრთნელები და სპეციალისტები. მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო სულ სხვა რამეზე, მიზეზებზე, რომელთაც თითქოს დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ სინამდვილეში აქვთ და მერე როგორი! მინდა გავიხსენო იმდღევანდელ მაყურებლებს, რომლებიც სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ისხდნენ.

ხომ ფაქტია, რომ დავითს გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა ბოლო შეხვედრაში (ხომ შეიძლება მასაც გაუჭირდეს ოდესმე!) და ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ძვირფასო მკითხველო, როდის უფრო სჭირდება სპორტსმენს ქომაგობა, როცა უჭირს თუ როცა ულხინს? როცა შეტევაზეა თუ როცა თავს იცავს? ჩვენი მაყურებლისთვის ამგვარი დილემიდან არსებობს მხოლოდ პირველი, და მეორე რომ არა, საილუსტრაციოდ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღვადგინოთ ზემოხსენებული ორთაბრძოლა: პირველი რაუნდი. გადამწყვეტი უპირატესობა არცერთ მოკრივეს არა აქვს. მაყურებელი: აქა-იქ კანტიკუნტი ტაში. მეორე რაუნდი. შეტევაზეა კლიმანოვი. ტრიბუნებზე ისეთი სიჩუმეა, ბუზის გაფრენას გაიგონებ. ერთი-ორი კიდევ ცდილობს შეძახილებით გამხნევებას, მაგრამ „ყოვლისმცოდნენი“ (ასეთნი არასოდეს არ აკლიათ სპორტულ არენებს) ახშობენ კომენტარებით — ჩუმად, ხელი არ შეუშალოთ (?). ნეტავ ვის ან რანაირად უნდა შეუშალოს ხელი გამამხნევებელმა შეძახილმა? უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემპიონატის მთელი მსვლელობის მანძილზე არაერთხელ მსმენია ამგვარი რეპლიკა და სულ მაკვირვებდა — ვინ, ან როდის თქვა, რომ მოკრივეებს გამხნევებით ხელი ეშლებათ? ნონა გაფრინდაშვილს აქვს ერთხელ ნათქვამი — მხოლოდ ორი სპორტია, ჭადრაკი და ჩოგბურთი, სადაც ხმაური ვნებს სპორტსმენებს. მაგრამ კრივი?

ვიცით კი ქომაგობა?

მესამე რაუნდიც წვეთი წყალივით ჰგავდა მეორეს — კლიმანოვი უტევდა და დარბაზი დუმდა. არადა, ვინ იცის, როგორ სჭირდებოდა კვაჭაძეს გამხნევება. ამ დროს მისმა ერთ-ერთმა მწვრთნელმა, მსაჯების გაფრთხილებასაც რომ აღარ დაგიდევდათ, მაყურებელს ხელის მოძრაობით ანიშნა — ტაში დაუკარითო (თურმე არ ვნებს მოკრივეებს ქომაგობა). კვაჭაძის სანახავად მოსულმა „გულშემატკივარმა“ კი ვერ გამოიმეტა აპლოდისმენტი საყვარელი სპორტსმენისათვის, გატრუნულმა მიადევნა ბრძოლას თვალი და გონგის მერე უხმოდ გაერიდა იქაურობას.

არა, ეს არც შემთხვევითობაა და არც მარტო კრივის მოყვარულის საქმეში ჩაუხედაობა, ეს ჩვენი გულშემატკივრის საერთო სენია, რომელიც ყველა სპორტში ერთნაირად „თანმიმდევრულია“ — იმარჯვებენ ჩვენი სპორტსმენები? მხარდაჭერაც აქვთ. გაუჭირდათ ოდნავ? სამარისებური დუმილი.

რაღა თქმა უნდა, ყველას გახსოვთ ჩვენს ქალაქში ჩატარებული უკანასკნელი მატჩი ცსკა-სთან, დამეთანხმებით საუკეთესო მატჩი წლევანდელ სეზონში. გაკვირვებული შემეკითხებიან, განა იმ მატჩში ჩვენს სპორტსმენებს მხარდაჭერა აკლდათო? გიპასუხებთ: — პირიქით, საკმარისზე მეტიც ჰქონდათ. მაგრამ, აბა, გონებაში აღვიდგინოთ ის მომენტი, როცა პირველი პერიოდის ბოლოსათვის ქულათა სხვაობა 6-8 იყო არმიელთა სასარგებლოდ. იყო თუ არა გასუსული ტრიბუნა მთელი ორი წუთის მანძილზე? იყო! მთელი ორი წუთი! კალათბურთში ეს ლამის საუკუნეა და ყველაზე მძიმე მომენტში მხარდაჭერას მოკლებული გუნდის მოწინააღმდეგეს შეეძლო უფრო გაეზარდა ანგარიში და მაშინ ხომ სულ ჩაუვარდებოდა ხმა მაყურებელს. ხმაც ჩაუვარდებოდა და ტრიბუნასაც ვადაზე ადრე დატოვებდა. ბედად კი მოხდა ისე, რომ დინამოელებმა გაათანაბრეს ანგარიში და მერე ქომაგობაც განახლდა.

და აი, ამ გულშემატკივარმა სპორტის სასახლიდან ფეხბურთის სტადიონზე გადაინაცვლა, რაღა თქმა უნდა, იგივე განწყობილება მიიტანა. თანაც უფრო მკვეთრად გამოსახული: თუ თამაში აეწყო, ხომ კარგი, მაგრამ თუ გაგვიჭირდა — მტრისას! ყველა ერთიანად გაყუჩდება, გაისუსება, ბოლქვებად დაძრული თამბაქოს ბოლი სტადიონის თავს მოერკალება და რის გამხნევება... ვინ იცის, იქნებ ყველაფერში ჩვენი ფსიქიური წყობაა დამნაშავე, კერძოდ ხასიათის ის მხარე, რომ ჩვენი მაყურებელი ზედაპირულად, მოჩვენებითად კი არ განიცდის, არამედ ღრმად და მგრძნობიარედ. მაინც ვერაფერი გამართლებაა — ვისაც თავისი განცდების მოთოკვა არ შეუძლია და მძიმე სიტუაციაში გუნდის მხარდაჭერა, სულაც ნუ მოვა სტადიონზე. დაჯდეს შინ და აჭყლიტოს საფერფლეს სიგარეტი. თუ სტადიონზე მივდივართ, უნდა ვგულშემატკივრობდეთ და განსაკუთრებით მაშინ, როცა გუნდს უჭირს.

თორემ რა გამოდის, აქაო და განსწავლული, ერუდირებული გულშემატკივარი გვყავსო და თავს ვიწონებთ ისეთი შეფასებებით, როგორიც რამოდენიმე წლის წინათ ენსხედეს „ტვენტეს“ მწვრთნელის, კონისაგან მივიღეთ: ასეთი მაყურებელი არსად მინახავს აქამდეო. ჩვენ ეს ქებად მივიღეთ, მაგრამ ვფიქრობ, ცოტაა საამაყო. გუნდს თამაში არ გამოსდიოდეს და მაყურებელსაც მინორული განწყობილება ჰქონდეს! მაშ რაღას ნიშნავს ისეთი საყოველთაო ცნობილი სპორტული ტერმინები, როგორიცაა „საკუთარი მინდორი“ და „საკუთარი კედლები“? თუ ქომაგობა არ იქნება, რაღა აზრი აქვს, შინ თუ სტუმრად თამაშს? ისე კი, კაცმა რომ თქვას, კარგად თამაშის დროს სტუმრადაც მშვენივრად დაგვიკრავენ ტაშს (ასე არ იყო შარშან დანიაში?).

არა ერთი და ორი კურიოზიც ამის მიზეზია: ეს უპრეტენზიო, უნდილი, მართლაც ცხვარივით უწყინარი გულშემატკივარი ოდნავი არაობიექტურობის შემჩნევისას ყოველგვარ საზღვარს გადალახავს ხოლმე და ისე ცხარდება, რომ ვეღარავითარი ძალა ვერ აკავებს. ესეც, ვფიქრობ, მშვენივრად ახასიათებს მის არაორგანიზებულობას, სტიქიურობას და აგრეთვე, დაბალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპორტული განათლების ნიშანია.

მართლაც, თუ არა ჩვენი ზოგართი მაყურებლის უინტელიგენტობას, სხვას რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ფეხბურთელთა გასამხნევებლად მიმართული სკანდირების პროექტი კარგა ხანს იხილებოდა და მაინც ვერ გამოიღო დადებითი შედეგი. თბილისელი ფეხბურთის მოყვარული ისევე თავისი „დინამო, დინამო“-ს ამარა დარჩა და ყველას კარგად მოგეხსენებათ, რარიგ არასახარბიელო სიტუაციაში ვარდებიან ტრიბუნები განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე სხვა ქალაქის „დინამოს“ ვმასპინძლობთ. უეცრივ გაიბზარება ხოლმე ომახიანი შეძახილი, გულშემატკივრები ყოყმანობენ, ენას უკიდებენ, მაგრამ სხვა ვერაფერი უპოვიათ და შესაშური კონსერვატიულობით ისევ თავის „დინამოს“ გაიძახიან. სწორედ ეს კონსერვატიზმი იყო დამნაშავე, რომ შარშან ჩვენს პრესაში გამართული კამათისას თბილისის ფეხბურთელთა გუნდისთვის სახელის გადარქმევის თაობაზე უმრავლესობამ ძველ „დინამოს“ დაუჭირა მხარი და მოსაზრებაც იმით დაასაბუთა, რომ ის დიდი ტრადიციების კოლექტივია. ისე გამოვიდა, თითქოს ეს ტრადიციები შესანიშნავ ქართველ ფეხბურთელებს კი არ შეუქმნიათ, არამედ „ომახიან“ სახელს — „დინამოს“ (აქვე მინდა შევნიშნო, რომ ამ მხრივ კიდევ უფრო შორს მიდის ქუთაისის „ტორპედოს“ მაგალითი. ამ ქალაქში გამოდის უზარმაზარი სატვირთო ავტომობილები, რომლებსაც დიდი ასოებით აწერია „კოლხიდა“, ფეხბურთელთა გუნდს კი იმავე „ტრადიციების“ ურყევობით, კვლავ ძველი სახელწოდება აქვს — „ტორპედო“. თითქოსდა სპორტულ კოლექტივს მეტად არ დაამშვენებდა არგონავტების საოცნებო ქვეყნის სახელი).

და, დიახაც ნიშანდობლივი იყო, რომ გულშემატკივრებთან თბილისის დინამოელთა პირველ შეხვედრაზევე, რომელიც სეზონის წინ გაიმართა, თავი იჩინა ფეხბურთის მოყვარულთა ჭეშმარიტმა სახემ. ცნობილია, რომ მოუმზადებელ ადამიანს უმწიფარი აზრები შეესაბამება და მართლაც იმდენად უსუსური იყო გუნდის ხელმძღვანელებისადმი და ფეხბურთელებისადმი დასმული კითხვები, რომ რაღა თქმა უნდა, უინტერესო პასუხებიც არავის გაჰკვირვებია. თუმცაღა ამ შეხვედრამ დიდი იმედიც ჩაგვისახა. ახდა მრავალი წლის ოცნება — თბილისში შეიქმნა ფეხბურთის მოყვარულთა კლუბი. და თუ იმედის ქონაა, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი იმედი ამ კლუბისა უნდა ვიქონიოთ. საფიქრებელია, რომ იგი დარაზმავს ჩვენს გულშემატკივარს, ძირისძირობამდე გაარკვევს სპორტული ასპარეზობის დიდსა თუ მცირე საკითხებში, დაბეჯითებით განმარტავს მაყურებლისა და სპორტსმენის ურთიერთდამოკიდებულების ნიუანსებს... მაგრამ თავიდან, ალბათ მაინც უმარტივესიდან უნდა დაიწყოს — უნდა ასწავლოს გულშემატკივარს თავისი გუნდის მხარდაჭერა და სწორედ იმ წუთებში, როცა განსაკუთრებულად უჭირთ სპორტსმენებს, რათა აღარასოდეს დაიწეროს წერილები ეგზლახად მაღალფარდოვანი სათაურით: „ვიცით კი ქომაგობა?“

ზ. ბარელი.

შევიკავოთ თავი!

მე არ მივეკუთვნები იმ ფეხბურთის მოყვარულებს, რომლებიც თავიანთი საყვარელი გუნდის გამარჯვების შემთხვევაში ზარზეიმით ეგებებიან მას და ვერაფერს ნაკლს ვერ ხედავენ თამაშში, ხოლო დამარცხების შემთხვევაში სტვენითა და ლანძღვა-გინებით ელიან იქაურობას. ბავშვობიდან ყოველთვის თბილისის „დინამოს“ თაყვანისმცემელი ვიყავი, ვმუშაობდი საქართველოს რადიოს სპორტულ კორესპონდენტად და კომენტატორად, ხშირად გადამიცია ფეხბურთის მატჩების რეპორტაჟები ქართულ და რუსულ ენებზე, მქონია შეხვედრები და საუბარი როგორც ჩვენი, ისე სხვა გუნდების ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან. საქმის კურსში ვიყავი თუ რა ატმოსფერო სუფევდა თბილისის „დინამოს“ კოლექტივში, რა აწუხებდათ მაშინდელ ფეხბურთელებს და მათ მწვრთნელებს.

არაერთხელ მსმენია ფეხბურთელების გულისწყრომა და სინანული იმ მაყურებელთა მიმართ, რომლებიც, აზარტში შესულნი, ამა თუ იმ მოთამაშის შეცდომას ან სუსტ თამაშს ლანძღვა-გინებით და სტვენით ხვდებიან. მახსოვს ჩვენი შესანიშნავი მწვრთნელის ა. ჟორდანიას ნათქვამი: ზოგიერთი ჩვენი „ყოვლისმცოდნე“ მაყურებლის უფრო მეშინია, ვიდრე ნებისმიერი გუნდისო. ბევრმა შესაძლებელია არ იცოდეს, თუ რა ფსიქოლოგიურ და მორალურ ტრავმას ვაყენებთ ფეხბურთელს ჩვენი თავშეუკავებლობით. წარმოიდგინოს ყველამ თავისი თავი სამსახურში, ვინ შეძლებს რამე სასარგებლო საქმის გაკეთებას, თუ მას ყოველ წუთს ლანძღავენ, უხეშად ეპყრობიან. ყოველივე ამას იმიტომ ვწერ, რომ ჩვენში ცუდ ტრადიციად იქცა ფეხბურთელის ათვალისწუნება. რამდენ პერსპექტიულ ფეხბურთელს მიუნებებია თავი ამის გამო თამაშისთვის, რამდენის ნიჭი არ გაფურჩქნილა ბოლომდე. საქმე ზოგჯერ იქამდეც მიდის, რომ ზოგიერთ ჩვენს ფეხბურთელს მაყურებელთა შიშით თბილისში თამაში არ უნდა.

ამჯერად მინდა შევეხო თბილისის დინამოელ რევაზ ჩელებაძის მიმართ ზოგიერთი გულშემატკივრის სრულიად გაუგებარ დამოკიდებულებას. რ. ჩელებაძე უკვე რამდენიმე წელია თამაშობს თბილისის „დინამოში“, მას არაერთი მატჩი ჩაუტარებია მაღალ დონეზე, გატანილი აქვს არა ერთი ბურთი, იგი მინდორზე არასოდესაა უქმი მეთვალყურის როლში, აკეთებს ყველაფერს, რაც მის ძალასა და შესაძლებლობას შეეფერება. იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც მიიწვიეს! მოხდა ისე, რომ წლევანდელ სეზონში მას სჭირდება დრო და, რაც მთავარია, მხარდაჭერა მაყურებლისა და თვით გუნდის წევრების მხრივაც.

ვაკეთებთ კი ამას? არა. მოდით, ჩავიხედოთ ფეხბურთელის გულში, რა უნდა მოვთხოვოთ მას, რა ოსტატობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც თბილისშიც კი მისივე გუნდის თაყვანისმცემლები სტვენითა და ყიჟინით ხვდებიან მას, ზოგჯერ მაშინაც კი, როდესაც იგი ამას სრულიად არ იმსახურებს.

რას მივაღწევთ ასეთი ქცევით? იმას, რომ მოვკლავთ კიდევ ერთი თავდამსხმელი, ამავე დროს შესაძლოა შიშის გრძნობა ჩავუნერგოთ გუნდის სხვა წევრებსაც. სამწუხაროდ, ამის სიმპტომები უკვე არის.

შეუცდომელი მოთამაშე არ არსებობს, ამიტომ ნუ მოვიქცევით ისე, რომ ჩვენს ფეხბურთელებს საკუთარ მოედანზე ეშინოდეთ თამაში, ნუ შევბოჭავთ მათ. მეტი გულისხმიერება, მეტი მხარდაჭერა გვმართებს განსაკუთრებით მათ მიმართ, ვისაც დროებითი ჩავარდნა აქვს და რისგანაც არავინაა დაზღვეული.

ნ. ჯაფარიძე,
თბილისის სახ. კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

…კონგრესის …დადგენილება

XI მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დაწყებამდე ბუენოს-აირესში გაიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელმაც მიიღო 5 ახალი წევრი. ახლა ფიფა-ში …ის 151 ქვეყანა.

…კონგრესმა გადაწყვიტა, აგრეთვე, რომ შემდგომი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში …ორგანიზატორი ქვეყნის (ესპანეთი, 1982 წელი) შეხედულებისამებრ მონაწილეობას მიიღებს არა …, არამედ 20 ან 24 გუნდი.



ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ოფიციალურ გახსნას მუდამ წინ უძღვის საზეიმო ცერემონიალი, რომელიც ძალზე საინტერესო სანახაობას წარმოადგენს. ასე იყო 1 ივნისს „რივერ პლეიტის“ სტადიონზე ბუენოს-აირესში, სადაც საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს XI ჩემპიონატი ფეხბურთში.

ამ დღეს აქვე შედგა პირველი მატჩი გფრ-ისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია თამაშის მომენტი. გერმანელთა თავდამსხმელი კ. ფიშერი (თეთრ მაისურში) უტევს მეტოქის კარს.

XI მსოფლიო ჩემპიონატის გა…მწყვეტი ტურნირის სტარტმა …რაფერი სიხარული მოუტანა …ფეხბურთის მოყვარულებს. ბუე…ნოს-აირესის „რივერ პლეიტის“ …ტრიბუნებზე მსხდომნი სიმწრით …შოვნილი ბილეთებით, აგრეთვე, …ტელევიზიის ეკრანის შემყურე …თეული ტანარჩენი მსოფლიო“ უკ…მოთმენლად და გაოცებით შეჰყურებდნენ ჩემპიონატის გახსნის პირველ მატჩს ისეთ ტიტულოვან …ქვეყნებს შორის, როგორებიც …არიან მსოფლიო ჩემპიონი — გფრ …და მესამე ადგილის მფლობელი — …პოლონეთი. თამაში იყო წელი, …ნთხილი, გაუბედავი.

…მაყურებელმა მოიწყინა, მოსაწყ…ენი მსოფლიო ჩემპიონატი კი ვის

დიდმა ფეხბურთმა …რ დააყოვნა

…ო უნდა. მართალია, ბევრი მი…ამხილველი იმ გამართლებას …პოულობდა ასეთი თამაშისთვის, …რომ სტარტზე ეს ტრადიციული …მბავია, რომ ფრე ორივე გუნდს …ქულებით აკმაყოფილებდა, ვინაიდან გფრ-ც და პოლონეთიც …შემდგომში იოლად გაუმკლავდებიან დარჩენილ მოწინააღმდეგეებს …I წინასწარ ჯგუფში — ტუნისს …და მექსიკას. მაგრამ ფაქტი ფაქტია — პირველი მატჩი მდარე ხა…რისხისა იყო.

…არგენტინის გაზეთები წერდნენ: „მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო, …როდის დაიწყება დიდი ფეხბურთი?“.

…და დიდმა ფეხბურთმაც არ …დააყოვნა. იგი დაიწყო მეორე დღე…ს ყველაზე რთული და ძნელი I …ჯგუფის მონაწილეების — იტალი…ის და საფრანგეთის გუნდების …შეხვედრით მარ-დელ-პლატაში.

…სამწუხაროდ, ჩვენ შესაძლებ…ლობა მოგვეცა ტელევიზიით გვე…ნახა ეს შესანიშნავი მატჩი. იგი …დასაწყისიდან ბოლომდე ავსებული იყო …უშეღავათო ბრძოლით, სა…ინტერესო პერიპეტიებით, მაღალი …შესრულებული ხელოვნებით. …გამარჯვებულებმაც და დამარცხებულებმაც დაადასტურეს თანამედროვე ფეხბურთის მაღალი დონე, …დაამტკიცეს, რომ ეს არაა წევატიური, …დაცვითი „ბეტონები“ და „ზებეტონები“, არამედ გაშლილი, …იერიშო, შინაარსიანი თამაში, …სადაც თითოეული ფეხბურთელი …მაქსიმალურად ავლენს თავის ნიჭს და შემოქმედებით შესაძლებლობებს. აქ იყო ყველაფერი: მაღალი ტემპი, მაქსიმალური ინ…ტენსივობა, თავდამსხმელთა ეფექტური მანევრები, მცველთა თავგანწირული ბრძოლა, მეკარეთა დახვეწილი ოსტატობა.

შეხვედრა დაიწყო იმით, რომ ფრანგების მარცხენა გარემარბმა სიქსმა პირველივე წუთზე შესრულა სწრაფი რეიდი მარცხენა ფლანგზე, მიაწოდა კართან და იქ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ლაკომბმა მაღალ ნახტომში თავით დაასწრო მცველს — 1:0.

შემდეგ იტალიელებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და კაუზიომ 30-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

იტალიის ნაკრებმა მეორე ტაიმშიც განაგრძო იერიშები, რამაც მას ახალი წარმატება მოუტანა: 53-ე წუთზე ზაკარელიმ, რომელმაც შეცვალა ანტონიონი, წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1.

შემდგომში ფრანგებმა ყველაფერი იღონეს, რათა თუნდაც გაექვითათ ანგარიში, მაგრამ ყველა ცდა უნაყოფოდ დამთავრდა: იტალიის ნაკრებმა შეინარჩუნა ესოდენ საჭირო გამარჯვება.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ტუნისისა და მექსიკის გუნდების (II ჯგუფი) შეხვედრა. მექსიკელები არაერთხელ გამოსულან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ტუნისელები კი სრული ახალბედები არიან. ამის მიუხედავად ტუნისის ნაკრებმა შეძლო მექსიკელთა დამარცხება — 3:1, თუმცა პირველ ტაიმს აგებდა 0:1.

„რივერ პლეიტის“ სტადიონი კვლავ სავსე იყო 2 ივნისს, როცა ერთმანეთს შეხვდნენ I ჯგუფის გუნდები — არგენტინა და უნგრეთი.

80 ათასი მაყურებლის მხარდაჭერით გამხნევებულმა არგენტინელებმა იერიშით დაიწყეს თამაში, მაგრამ პირველი გოლი მათს კარში იქნა გატანილი: მე-11 წუთზე საბომ კარგად გამოიყენა თავისი გუნდის კონტრშეტევა და გახსნა ანგარიში.

საპასუხო გოლი მალე იქნა გატანილი. მე-15 წუთზე არგენტინელებმა გაითამაშეს საჯარიმო დარტყმა, უნგრელთა მეკარე გუიდარს ხელიდან გაუვარდა ბურთი და იგი ახლო მანძილიდან გაგზავნა კარში ლიუკემ — 1:1.

ტაიმის ბოლოს და თითქმის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში უდავო ტერიტორიული უპირატესობა არგენტინელთა მხარეს იყო. ისინი მეტოქეზე გაცილებით მეტს აქტიურობდნენ, სახიფათო მომენტებსაც ხშირად ქმნიდნენ და 82-ე წუთზე ამას შედეგიც მოჰყვა: ალონსომ შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა. გამარჯვა არგენტინის ნაკრებმა — 2:1.

ამ მატჩში ადგილი ჰქონდა არასასურველ ინციდენტებს. უხეში თამაშისთვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა 2 უნგრელი მოთამაშე — ტორეჩიკი და ნილაში.

…ოთხჯერ 0:0

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ბოლო 4 მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პირველი მატჩები დამთავრდა ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა.

1966 წელი. ინგლისი — ურუგვაი 0:0.

1970 წელი. მექსიკა — სსრ კავშირი 0:0.

1974 წელი. ბრაზილია — იუგოსლავია 0:0.

1978 წელი. გფრ — პოლონეთი 0:0.

მთავარი ორთაბრძოლები წინ არის

მოსკოვი. „ტორპედოს“ სტადიონი. 2 ივნისი.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 1:0 (0:0).

„ტორპედო“: ზარაპინი, პრიგოდა, ჟუპიკოვი, კაპაევი (ვანიუშკინი), მირონოვი, პეტრენკო, ფილატოვი, ხლოპოტნოვი, იურინი, იაკოვლევი (სახაროვი), ხრაბროსტინი.

„დინამო“: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე (ჩელებაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, კოპალეიშვილი (ბაზაზაშვილი), გ. მაჩაიძე, შენგელია.

მსაჯი მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გაფრთხილებულია მირონოვი.

დუბლიორები — 0:1 (გოლი გაიტანა ბაზაზაშვილმა).

ნებისმიერი გუნდის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა შექმნილი სიტუაცია თვითონ კარნახობს პირობებს, ნებით თუ უნებლიედ აგარჩევინებს ამ და არა სხვა გზას.

„ტორპედოსთან“ მატჩის წინ თბილისის „დინამოს“ მაინცდამაინც დიდი ტაქტიკური არჩევანი არ ჰქონია მოთამაშეთა მხრივ. გუნდს აკლდნენ ყიფიანი, გუცაევი, კოსტავა და დარასელია. ფაქტიურად გუნდის განკარგულებაში არ იყო ის ძალა, ურომლისოდაც, თქმა არ უნდა, სიმძაფრეს დაკარგავდა თბილისელთა შეტევები. ამასთან, ბევრად გაუიოლდებოდა ამოცანა „ტორპედოს“ დაცვას. იყო მეორე მომენტიც — ფრე ამ მატჩში სავსებით ხელს აძლევდა თბილისელებს. მართალია, მოგებაზე ფიქრი და თამაში ყოველთვის მაცთუნებელია, ორი ქულაც ბევრად სჯობს ერთს, მაგრამ როცა სამისო საფუძველი არ ჩანს, რომანტიკა გვერდზე უნდა გადადო და იმისთვის იზრუნო, რაც ხელსაყრელია და შესაძლებელი. ფრე კი გუშინწინდელ მატჩში არც ურიგო იყო და არც ძნელად მისაღწევი. ეს მატჩის მსვლელობამაც დაადასტურა.

აი, ამ მიზნის განსახორციელებლად „დინამომ“ მინდვრის შუაგულში ხუთ ფეხბურთელს მოუყარა თავი. ქორიძე, ჩივაძე და მ. მაჩაიძე ცენტრში განლაგდნენ: მანუჩარი — ოდნავ წინ, ქორიძე — ხინჩაგაშვილთან და კანთელაძესთან ახლოს, გ. მაჩაიძე და კოპალეიშვილი — ფლანგებზე. თუმცაღა, ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ „დინამო“ თავის ნახევარში ჩაიკეტებოდა და მხოლოდ ქულის გადარჩენაზე იფიქრებდა. თბილისელებმა, — ასე ვთქვათ, უფრო შემოქმედებითად გადაჭრეს ეს საკითხი — შეანელეს ტემპი და თამაში გადაიტანეს მინდვრის შუაგულში, სწორედ იქ, სადაც მათი ძირითადი ძალები იყო თავმოყრილი. და მეორეც — როგორც კი გაირკვა, რომ ავტოქარხნელებს არ ძალუძთ გეგმაზომიერი იერიშის მიტანა გოგიას კარზე, ქორიძემ თავის სანახევროდ მცველის ფუნქციებზე ხელი აიღო და გააქტიურდა.

როცა შეხვედრის შემდეგ ჩანაწერს გადავავლე თვალი, აღმოჩნდა, რომ „ტორპედომ“ ასე თუ ისე სერიოზულად მხოლოდ 23-ე წუთზე მოსინჯა თბილისელთა კარი, ხრაბროსტინის დარტყმა არაზუსტი გამოდგა. მეორე ანგარიშგასაწევი მუქარა კი მე-60 წუთზე მოდის. სახაროვის დარტყმა, თუმცა ოდნავ, მაგრამ მაინც აცდა გოგიას კარს. ეს იყო და ეს. მასპინძელთა სწრაფვა გამარჯვებისკენ 69-ე წუთამდე მხოლოდ ამ ორი მომენტით გამოიხატა.

მართალია, თბილისელები უფრო სახიფათოდ უტევენ (განსაკუთრებით II ტაიმის დასაწყისში), ზარაპინსაც უფრო ხშირად უხდება ოსტატობის ჩვენება, მაგრამ იმის თქმა, რომ სტუმრები უფრო ახლოს იყვნენ წარმატებასთან, სწორი არ იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ „დინამოს“ შეტევის მახვილი ვერა და ვერ ამოქმედდა — სათანადო მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი შენგელია, ბუნებრივია, მარტო ვერაფერს მოუხერხებდა ტორპედოელთა მცველებს. თუმცა ეს თბილისელთა ძირითადი გეგმით არც იყო გათვალისწინებული და, კაცმა რომ თქვას, ვერც მოხერხდებოდა.

შეიძლება თქვან: რა აზრი ჰქონდა ასეთ გეგმას, თუ მაინც დავმარცხდებოდითო. მატჩის შემდეგ, როცა თქმმა უკვე აღნუსხა თბილისელთა მარცხი, მართლაც შეიძლებოდა რაღაც ამის მაგვარი ეფიქრა კაცს, მაგრამ მხოლოდ მატჩის შემდეგ. ისე კი, შესაძლებელი რომ იყოს ამ ორთაბრძოლის ხელმეორედ გამართვა, დარწმუნებული ვარ, გუნდი იმავე ტაქტიკას აირჩევდა და სწორადაც მოიქცეოდა.

69-ე წუთი. უმეთვალყუროდ მიტოვებულ თბილისელთა დაცვის მარცხენა ზონიდან ჩამოწოდებულ ბურთს ზუსტი მისამართი მოუძებნა ხრაბროსტინმა. „დინამომ“ ორი თავდამსხმელი ჩართო თამაშში, მაგრამ ეს უფრო მოვალეობის მოხდას ჰგავდა — ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მთელი მატჩისთვის მოხმობილ ტონალობას გუნდი ხელის ერთი დაკვრით გამოცვლიდა. ვერც გამოცვალა და ვერც ვერავის გავამტყუნებთ. კარგი იყო გამარჯვება, არც ფრე იქნებოდა ურიგო, მაგრამ ნურც დამარცხება დაგვაღონებს — მთავარი ორთაბრძოლები წინ არის.

ი. ბერიაშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოსკოვი.

პირველი ლიგა

2 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების XIII ტურის შეხვედრები.

სასიხარულო წარმატებას მიაღწიეს ქუთაისის ტორპედოელებმა, რომლებსაც გასვლითი მატჩი ჰქონდათ ორჯონიკიძის „სპარტაკთან“. ქუთაისელებმა შეძლეს მორიგი გამარჯვების მოპოვება — 2:1.

ტურის სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 2:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „კარპატი“ (ლვოვი) 0:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — ასკ (ოდესა) 3:1, „კუბანი“ (კრასნოდარი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:0, „თერგი“ (გროზნო) — ასკ (დონის როსტოვი) 0:2, „პამირი“ (დუშანბე) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „შინნიკი“ (იაროსლავლი) 1:0, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (მინსკი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კრ. სოვეტ.“	12	8	2	2	17—7	18
„კუბანი“	12	7	4	1	19—8	18
„ტორპედო“	12	6	4	2	19—13	16
„კარპატი“	12	6	3	3	15—10	15
„ნისტრუ“	12	6	3	3	15—12	15
„დინამო“ მნ.	13	5	5	3	19—14	15
ასკ რ.	12	5	5	2	18—11	15
„ტავრია“	12	5	4	3	19—12	14
„ჟალგირისი“	13	3	8	2	15—12	14
„თერგი“	13	5	2	6	15—20	12
„კუზბასი“	12	5	2	5	14—12	12
„სპარტ.“ ი.-ფ.	12	5	2	5	14—20	12
„პამირი“	13	2	8	3	10—10	12
„შინნიკი“	13	3	5	5	8—13	11
ასკ ოდ.	12	3	3	6	11—16	9
„კოლხოზჩი“	13	2	5	6	12—19	9
„სპარტ.“ ორ.	13	3	2	8	10—15	8
„ურალმაში“	12	3	2	7	6—15	8
„დინამო“ ლ.	13	2	4	7	12—19	8
„მეტალურგი“	12	1	5	6	7—17	7

II ლიგა, IV ზონა გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შირაკი“	15	9	5	1	31—12	23
„კოტაიკი“	15	10	2	3	20—13	22
„დინამო“ ზ.	15	6	6	3	17—9	18
„ლოკომოტ.“	15	7	3	5	24—22	17
„ყარაბაღი“	15	7	3	5	19—10	17
„გურია“	15	6	5	4	20—18	17
ფიზკ. ინსტ.	15	5	7	3	14—12	17
„ტურბინა“	15	7	2	6	19—23	16
„დინამო“ ს.	15	6	4	5	21—17	16
„ზვეზდა“	15	6	4	5	17—11	16
„დინამო“ ბ.	15	6	4	5	15—13	16
„ზენიტი“	15	5	6	4	14—12	16
„რუბინი“	15	5	5	5	16—17	15
„ტორპედო“	16	5	5	6	14—11	15
„ავტომობ.“	15	7	0	8	16—19	14
„გაზოვიკი“	15	5	4	6	15—16	14
„დრუჟბა“	15	5	3	7	16—14	13
„გასტელო“	15	5	3	7	15—20	13
„ურალეცი“	15	5	3	7	15—25	13
„დინამო“ ქრ.	15	5	2	8	14—18	12
„დილა“	15	2	8	5	12—16	12
„პროგრესი“	14	5	1	8	15—20	11
„ხაზარი“	15	4	3	8	12—20	11
„არაზი“	15	2	2	11	12—35	6

მსოფლიო ჩემპიონატის მატიანე

კვლავ ბოტვინიკი

ფიდე-ს იმდროინდელი წესითაც დამარცხებულ მსოფლიო ჩემპიონს მატჩ-რევანშის უფლება ჰქონდა, განმეორებითი თამაშის სურვილი მას ერთი წლის მანძილზე უნდა განეცხადებინა. მ. ბოტვინიკი ყოყმანობდა: ვ. სმისლოვის გამარჯვება 1957 წლის მატჩში იმდენად დამაჯერებელი და დამსახურებული იყო, რომ ტიტულის დაბრუნების ცდა ამარად მიაჩნდა. მაგრამ მეგობრების დაჟინებული მოთხოვნისა და მატჩ-რევანშისთვის მზადების გეგმის შემუშავების შემდეგ მან აცნობა ფიდე-ს პრეზიდენტს ფ. როგარდს (შვეცია), რომ სურს კვლავ შეხვდეს სმისლოვს.

პრეზიდენტმა სმისლოვ — ბოტვინიკის მატჩ-რევანშის საკითხი ფიდე-ს XXVIII კონგრესზე (ვენა, 1957 წ. აგვისტო) გაიტანა. სრკავშირის ფედერაციის წინადადებით ორთაბრძოლის სტარტი დაინიშნა 1958 წლის 4 მარტს მოსკოვში. მთავარ მსაჯად კვლავ მიიწვიეს შვედი გ. შტალბერგი, მის მოადგილედ ინგლისელი ჰ. გოლომბეკი.

მატჩამდე ბოტვინიკი მთლიანად მზადებით იყო დაკავებული. მან კოლოსალური შრომა გასწია, რომ მეტოქეს ღირსეულად დახვედროდა. სმისლოვმა მხოლოდ ერთ შეჯიბრებაში — ევროპის გუნდურ პირველობაში მიიღო მონაწილეობა, როგორც საბჭოთა ნაკრების ლიდერმა. ეს მოხდა 1957 წლის აგვისტოში ბაღენ-ბადენში (ავსტრია), სადაც ფ. როგარდმა მას მსოფლიო ჩემპიონის დიპლომი გადასცა.

1958 წლის 2 მარტს მოსკოვის სასტუმრო „სოვეტსკაიას" საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა სმისლოვ — ბოტვინიკის მატჩ-რევანშში. გამოცხადდა, რომ სმისლოვს სეკუნდანტობას გაუწევს დიდოსტატი ი. ბონდარევსკი, ბოტვინიკს — საერთაშორისო ოსტატი გ. გოლდბერგი. მოეწყო კენჭისყრა და ორი დღის შემდეგ ამავე დარბაზში მეტოქენი ბრძოლას შეუდგნენ.

თავიდანვე ინიციატივას ბოტვინიკი დაეუფლა და პოლომდე შეინარჩუნა იგი. მან I და III პარტიებში მოულოდნელად გამოიყენა კარო-კანის დაცვა (შავებით). სმისლოვმა ვერ აუღო ალღო ამ დაცვას და დიდად დაბარალდა. ბოტვინიკი დაწინაურდა — 1:0, 2:0, 3:0, 3,5:0,5.

ბოტვინიკის აზრით ეს იყო მატჩის პირველი ეტაპი.

მეორე ეტაპი (IV-XIII პარტიები) ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. სმისლოვმა ვერ შეძლო ჩარხის შემობრუნება. ბოტვინიკმა შეინარჩუნა ანგარიშში სამჭიდროანი სხვაობა: 3,5:1,5, 4,5:1,5, 5:2, 5,5:2,5, 6:3, 6,5:3,5, 6,5:4,5, 7,5:4,5, 8:5.

მესამე ეტაპი (XIV-XVII პარტიები) უკიდურესობამდე მძაფრად წარიმართა. სმისლოვი ცდილობდა გარდატეხის შეტანას. თამაშობდა გამომწვევად, ზოგჯერ გადაჭარბებული სითამამით, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

კურიოზული შემთხვევა მოხდა XV პარტიის დამთავრებისას. პარტია ბოტვინიკს მოსაგებ პოზიციაში ჰქონდა გადადებული. თამაშის განახლებისას, კონტროლამდე ერთი სვლა რომ დარჩა, ბოტვინიკი გაერთო ვარიანტების გაანგარიშებით, დაავიწყდა, რომ უნდა ეჩქარა და საათზე ალამი ჩამოუფარდა. ეს იყო გამოცდილი დიდოსტატის მდიდარ პრაქტიკაში გულმავიწყობის პირველი შემთხვევა. ამ მოულოდნელმა წაგებამ მაინც ვერ შეიტანა გარდატეხა მატჩის მსვლელობაში — 9:5, 9:6, 9,5:6,5, 10:7.

XVIII პარტიით დაიწყო მატჩის ფინიში. ამ დროს სმისლოვი ხშირად შეუძლოდ იყო. ორჯერ თამაშზე არ გამოცხადდა. ადრე ბოტვინიკიც ავადმყოფობდა. დაძაბულმა ბრძოლამ ორივე გვარიანად მოქანცა. მაგრამ მაინც ერთმანეთს შეღავათს არ აძლევდნენ, თავგამოდებით იბრძოდნენ — 11:7, 11:8, 11,5:8,5.

სმისლოვს კრიტიკული მდგომარეობა შეექმნა XXI პარტიის შემდეგ, როცა თავად შესთავაზა ბოტვინიკს ყაიმი. ტიტული რომ შეენარჩუნებინა, აუცილებლად უნდა მოეგო დარჩენილი სამივე პარტია. ეს ადვილი როდი გახლდათ.

სმისლოვმა შეძლო XXII პარტიის მოგება, მაგრამ XXIII პარტიაში ვერაფერს გახდა. პირიქით, უპირატესობას ბოტვინიკი დაეუფლა. სმისლოვმა ისევ მოახერხა, რომ პარტია გადადო. მაგრამ მეორე დღეს, 9 მაისს დილით ბოტვინიკს ყაიმი შესთავაზა. რა თქმა უნდა, ბოტვინიკმა წინადადება მიიღო და მატჩიც მოიგო — 12,5:10,5 (+7—5=11).

ჰაგრაკის ისტორიაში ეს იყო მატჩ-რევანშის თამაშის მესამე შემთხვევა (მანამდე იყო ე. ლასკერ — ვ. სტეინიცის 1896 წლის და მ. ეივე — ა. ალიოხინის 1937 წლის მატჩები) და მეორე, როცა მატჩ-რევანშში ჩემპიონმა ტიტული დაიბრუნა.

პრეს-კონფერენციაზე ბოტვინიკმა უურნალისტებს უთხრა, რომ სმისლოვის დამარცხების მიზეზი შეიძლება იყოს მეტოქის შესაძლებლობათა შეუფასებლობა. ჩემი მარცხის მიზეზი, მაგალითად, ეს გახლდათ.

შეკითხვაზე, ვინ შეიძლება იყოს მომავალში მისი მეტოქე ახალგაზრდა დიდოსტატებიდან, მან უპასუხა: ჩვენგან, უპირველეს ყოვლისა, მიხეილ ტალი ან ბორის სპასკი, იუხოლთაგან ბენტ ლარსენი, რობერტ ფიშერი...

თ. გიორგაძე.



მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს მოემსახურებიან მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ფირმები, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვის საერთაშორისო გამოფენა „სპორტ-78"-ში.

საკდესის ფოტო.

ჭადრაკი

ლიდერთა შეხვედრები

ჭუთაისი, 3 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობის XII ტურშიც ყურადღების ცენტრში იყო ლიდერთა შეხვედრები.

ც. კობაიძე — მ. წერეთლის პარტიაში თამაში თავიდანვე მშვიდობიანად მიმდინარეობდა და იგი ყაიმით დამთავრდა. საქართველოს ჩემპიონმა ნ. მელაშვილმა შეძლო მ. ჭირაქაძის წინააღმდეგობის დაძლევა და გაიმარჯვა. მისი დის, ქეთევანის შეხვედრა თ. მესხთან დაუმთავრებელი დარჩა. გადაიდო ნ. იმნაძე — თ. ხუგაშვილის პარტიაც, რომელშიც ხუგაშვილს პერსპექტიული პოზიცია წარმატებას ჰპირდება. ც. კახაბრიშვილი ვერაფერს გახდა ნ. მუსერიძესთან და ყაიმს შეურიგდა. ც. ჭასოშვილი დამარცხდა ლ. ფაჩუაშვილთან.

კვლავ წააგო ნ. შეყილაძემ, ამჯერად ლ. თანდაშვილთან, ნ. გოგიამ მოუგო ი. აბზიანიძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ლ. ბელოზიოროვა — ხ. გურგენიძე.

ამრიგად, 12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან მ. წერეთელი — 9,5 ქულა, ნ. მელაშვილი — 9, თ. ხუგაშვილი — 8,5 ქულა და თითო გადადებული და გამოტოვებული პარტია, ც. კობაიძე, ც. კახაბრიშვილი (ყველა — თბილისი) — 8,5-8,5, ც. ჭასოშვილი (გორი) — 8, ქ. მელაშვილი (თბილისი), თ. მესხი — 7-7 (1-1), ლ. ფაჩუაშვილი (ორივე — ქუთაისი) — 7.

ზ. ბურკაძე.

პირველობის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის ოცდამეორე ტირაჟისა, რომელიც 31 მაისს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო": ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 93, ოთხისთვის — 68, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2": ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 1522 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 73, ოთხისთვის — 43, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 11 ივნისიდან 11 ივლისის ჩათვლით.

გუშინ მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს" მორიგი, 22-ე ტირაჟი.

აი, მოგებული ციფრები და სახეობები:

პირველი: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 10 (ფრენბურთი), 20 (ტრამპლინიდან ხტომა), 25 (საციგაო სპორტი), 30 (სასტენდო სროლა).

მეორე: 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 17 (ციკურები), 18 (მძლეოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლა), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი).

წყალბურთი

დუშანბეში დამთავრდა სს კავშირის ჯაბუკ წყალბურთელ პირველობა, რომელშიც მოკავშირ რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 12 გუნდი გამოდი და მონაწილეთა შორის იყვნ 1958 წელსა და უფრო გვიან ბადებული ბიჭები.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებ უველა მონაწილემ დაკარგა მ ლები. რაც შეეხება დაუმარცხ ბელ კოლექტივებს, ესენია მო კოვისა და უკრაინის გუნდე მათი შეხვედრა ფრედ — 8:8 დ თავრდა. საბოლოოდ კი სპორტ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხ რზე მოსკოველები ავიდნენ. შემადგენლობაში იყვნენ: ს. ალ სახინი, მ. ივანოვი, ა. კლეიმენ ევი, ს. ბეკარენოვი, დ. სულაკ ვ. ბამჩენოვი, ა. მარტინოვი, შვენიერაძე, ა. სემიონოვი, ი. რეპელკინი, ლ. ბურჩულაძე.

II ადგილი დაიკავეს უკრაინ ლებმა, ხოლო III — აზერბაიჯან ლებმა. ამ უკანასკნელებმა და ქართველოს გუნდებმა მხოლო თითო თამაში წააგეს. აქვე უნ აღვნიშნოთ, რომ ქართველმა ბუკებმა ფრედ — 3:3 ითამაშ გამარჯვებულებთან.

საერთაშორისო ამხანაგური

ბაქოში ამხანაგური მატჩი მართა კუბის ნაკრებმა გუნდმა, ო აზერბაიჯანის ნაკრებს შეხვდა გაიმარჯვა 6:2. სტუმართა შორი განსაკუთრებით გამოიჩინა თა მეკარე ო. პერიჩემ, რომელმა ორი 4-მეტრიანი საჯარიმო დარტ მა მოიგერია.

მეორე შეხვედრაშიც წარმატ ბა კუბელთა მხარეს იყო, ოღონ ამჯერად მინიმალური სხვაობი — 6:5.

თანამედროვე ხუთჭიდი

თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატ თა უნგრეთის ღია პირველობის როელიც ბუდაპეშტში დამთავრ და, გაიმარჯვა ტ. სამბატელმ — 5230 ქულა, გუნდურშიც გამარ ვება „გონვედის" (ანჩიალი, შაშ ჩი, ჩასარი) კოლექტივს ხვდა — 15246 ქულა. ასპარეზობაში მო ნაწილეობდნენ საბჭოთა დინამო ლებიც, გუნდურში IV ადგილზ გავიდნენ, ხოლო საუკეთესო შე დეგი ინდივიდუალურ ჩათვლა ჰქონდა ალმაათელ ე. ბესონოვს — XI ადგილი.

მძლეოსნობა

ამერიკის ქალაქ იუჯინში გამართულ შეჯიბრებაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. უილკინსმა (აშშ) ბადროს ტყორცნაში მსოფლიოში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი — 78,48 მ აჩვენა, რაც მისსავე მსოფლიო რეკორდს 33 სანტიმეტრით ჩამორჩება. აქვე ა როჯერსმა იმარჯვა 200 (20,4) და 400 მეტრზე (45,62) რბენაში.

ბერლინში მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ვ. შმიდტმა (გდრ) ბადროს ტყორცნაში თავისივე ევროპული რეკორდი 32 სანტიმეტრით გააუმჯობესა. მისი შედეგია — 68,92 მ.

სპორტი ანტარქტიკაში

ქვემბრიჯის უნივერსიტეტს (ინგლისი) დიდძალი ახალგაზრდა უმუშევარი მიადგა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ დაიკავებდნენ ერთერთს იმ 40 ვაკანტური ადგილიდან, რომელიც ბრიტანეთის ახლად ჩამოყალიბებულ ანტარქტიკულ ექსპედიციას ჰქონდა. მძოლების, მზარეულების, დამხმარე მუშების ადგილებზე სურვილს აცხადებდნენ უმუშევრები, რომელთაც ხელოვნების მაგისტრისა და მეცნიერებათა დოქტორის წოდებებიც კი ჰქონდათ. კომისიამ სხვა არჩევანი გააკეთა. მან ვაკანტურ ადგილებზე მიიღო კვალიფიცირებული მოჭადრაკეები, ჰოკეისტები, ბადმინტონის მოთამაშეები, მაგიდის ჩოგბურთელები.

„სპორტი ხელს გვიწყობს სასიამოვნოდ გავატაროთ დრო ანტარქტიკაში", განაცხადა ექსპედიციის ხელმძღვანელმა.

„დამგმაჩა უნდა გეჩვენებინათ"

ერთმანეთს ხვდებოდნენ იტალიური საფეხბურთო კლუბები „კანოსა" და „ბარეცო". „კანოსას" მეკარე პულჩიმ მართლაც რომ დიდებული რეაქცია გამოიჩინა, როდესაც თავი აარიდა ტრიბუნიდან ნასროლ ბოთლს. მან იქვე კართან დადებული ჩანთიდან დამბაჩა ამოიღო და მაყურებლების შესაშინებლად ჰაერში გაისროლა.

ტრიბუნები მართლაც დაწყნარდნენ, მაგრამ სამაგიეროდ პულჩი დისკვალიფიცირებული იქნა. „თქვენ ზედმეტი მოგივედათ, — უთხრეს მას სადისციპლინო კომისიაში — დამბაჩა კი არ უნდა გესროლათ, არამედ უბრალოდ მაყურებლებისათვის დაგენახვებინათ. ესეც სრულიად საკმარისი იქნებოდა".

დისკვალიფიცირებული იქნა მსაჯიც, რომელმაც არ დასჯა მეკარე დამბაჩის გასროლისათვის. იგი თავს იმართლებდა, რომ არ უნდა გაეღიზიანა ადამიანი, რომელსაც ხელში დამბაჩა უჭირავს. მსაჯის პოზიციას „პორტუნისტული და უპრინციპო" ეწოდა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380006, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-07-50; რედაქტორის მოადგილე — 99 50-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-07-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-07-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-07-55; სპორტის პროპაგანდის — 93 07-57; მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობის — 93-07 53; ჭადრაკის — 93-07-26; სამხატვრო — 93-07-52; წერილების — 93-07-54; კორექტორები — 93-07-49; გამომშვები — 93-08-81; ფოტოკორესპონდენტი — 93 07-58; მენეჯერები — 93-07-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07867